



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება



გაფართოებული ძიება

მთავარი | სიახლეები | გამოცემები | კანონმდებლობა | ანგარიშები | HRIDC-ს შესახებ | ბმულები | კონტაქტი | [Text Version](#)

დარიალიპის მშენებლობა დაიწყო

13.09.2011

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 109 მეგვტ სიმძლავრის დარიალიპის მშენებლობა დაიწყო. ეს ინფორმაცია მცხეთა - მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს შპს „დარიალ ენერჯის“ გენერალურმა დირექტორმა ლაშა იორდანიშვილმა დაუდასტურა.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანალიტიკოსი ქეთი გუჯარაიძე რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, რომ შპს „დარიალ ენერჯის“ დარიალიპის მშენებლობით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგები ამ დრომდე სათანადოდ არ ჰქონდა შეფასებული. „დარიალ ენერჯის“ გენერალური დირექტორი ამ ინფორმაციას უარყოფს:

„გარემოზე ზემოქმედების შეფასებით დაიწყო ყველაფერი. ჩამოვიყვანეთ სპეციალისტები, შევხვდით მოსახლეობას და ყაზბეგში დიდი პრეზენტაციაც მოვანწყეთ. ეს ეტაპი ყველა პროცედურის დაცვით გავიარეთ. გარემოზე ზემოქმედების შეფასება რომ არ გვქონდეს გაკეთებული, არც ერთი საფინანსო ინსტიტუტი თანხას არ მოგვცემდა“, - ამბობს იორდანიშვილი.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პრეზენტაცია, რომელზეც იორდანიშვილი საუბრობს, დაბა სტეფანწმინდაში 12 აგვისტოს გაიმართა და „დარიალ ენერჯიმ“ ამ პრეზენტაციაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინასწარი ანგარიში წარადგინა.

საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის“ თანახმად, „დარიალ ენერჯიმ“ სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) ნოემბრის დასაწყისში უნდა ჩააბაროს.

დარიალიპის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რუსეთ-საქართველოს საზღვართან, მდინარე თერგის მარჯვენა ფერდზე, მდინარე ყუროს და ხდის წყალს შორის მუდებდა. ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში 120 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდება, მშენებლობაზე კი 150 ადამიანი დასაქმდება. პროექტის მიხედვით, ჰესი ექსპლუატაციაში 2014 წელს უნდა შევიდეს.

დარიალიპის მიერ გამოუმუშავებულ ელექტროენერჯიას ზამთარში საქართველო მოიხმარს, ზაფხულში კი ელექტროენერჯიის ექსპორტი თურქეთში განხორციელდება.

საქართველოს მთავრობასა და შპს „დარიალ ენერჯის“ შორის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულება 2011 წლის 19 მაისს გაფორმდა. დოკუმენტს ხელი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა და შპს „დარიალ ენერჯის“ დირექტორმა ლაშა იორდანიშვილმა მოაწერეს.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

[<< უკან დაბრუნება](#)



დატოვებთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად

დამცავი კოდი:

სხვა სიახლეები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

ხელვაჩაურის გამგებელი და მისი მოადგილე დააკავეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფმა სასამართლოს მიმართა

აგრარული უნივერსიტეტის საკითხს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად შეისწავლის

პაატა ზაქარეიშვილის თქმით, პრეზიდენტი რეინტეგრაციის სამინისტროს სახელწოდების შეცვლას აპირებდა

[არქივი](#)



ბლოგი

ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული...



2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორ კვირის) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

[ერცადა...](#)

წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები...

პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და...

[არქივი](#)

რედაქტორის აზრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მალაჩინოსნების...



ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის იურისტები და ჟურნალისტები ყოფილი მალაჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.

[ერცადა...](#)

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო...

ავვისტოს ომი - ვინ...